წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 19 მკათათვე 1916 წ. № 159

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ელ. 1 მ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

თავზარ დაცემულნი: ძმა მიხეილ ზურაბის ძე თავ. ხერხეულიძე, რძალი დარიკო გრიგოლის ასული ხერხეულიძისა და და—სონია აუწყებენ ნაცნობთა და ამხანაგებს ძვირფას

გრიგოლ (გიგო) ზურაბის ძის

თავ. ხერხეულიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

წირვა გადახდილ იქმნება ნაძალადევის ეკლესიაში, ხოლო დასაფლავება დღეს, სამშაბათს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(1-267-1)

თ-დი მალხაზ არჩილის ძე და მისი მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილები შვილებითურთ ულრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პატივი სცა პირველთა დაუვიწყარ შვილის და მეორეთა ძმისა

თ-დ ივანე მალხაზის ძე

ანდრონიკაშვილის

ხსოვნას პირადის დასწრებით ან სამძიმრის გამოცხადებით წერილობით თუ დეპეშით.

(1-268-1)

გაზ. „საქართველო“-ს კანტორა ამით აუწყებს ხელის მომწერთ, ვინც 25 მკათათვემდე ფულს არ შემოიტანს. გაზეთი მოესპობა.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე
სადილები
ვახშმები
ჩაი
ყავა
ხაჭაპური
პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიიზდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

თბილისი, 19 მკათათვე

მამულების გაყიდვა.

ჩვენი მემამულე თავად-აზნაურობა, რომელსაც შრომისა და ეკონომიური შემოქმედების უნარი არ შესწევდა, თვის მამულების გაყიდვას კარგა ხანია აწარმოებს. სხვა და სხვა მიზეზის გამო, ყველა ეს მამული უცხო ტომის ხელში გადადიოდა. ეს მოვლენა საზოგადოებას შეუმჩნეველი რჩებოდა, იგი არავის არ აწუხებდა. არ იყო შეგნებული ეროვნული იდეა, არავის ჰქონდა დარდი და წუხილი, მამაპაპეული საკუთრების დაცვა-მოვლისა. თუ ვინმე ობოლი სული საქართველოს აღდგენის იდეალს გულში საიდუმლოდ ატარებდა, იგი პასიურად ემორჩილებოდა დამდგარ უბედურებას და ქვეყნის აოხრება-განადგურებას გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებდა. ამ ხანებში ასე შეუგნებლად მზადდებოდა ჩვენი ქვეყნის მომავალის საფრთხე. თან და თან ეროვნული იდეალი და შეგნება ფეხს იკიდებდა, ამასთან ერთად გაისმოდა გულამოსკვნილი პროტესტი იმ მემამულეთა წინააღმდეგ, ვინც უცხო ტომის კაცზე ჰყიდდა თვის მამულს და ამით ხელს უწყობდა უცხო ხალხის საქართველოში დამკვიდრებას და საქართველოს ეთნოგრაფიულ აჭრელებას. ამ პროტესტებმა უმაღლეს წერტილს რევოლიუციის შემდგომ პირველ წლებში მიაღწიეს. ეროვნულად გამოფხიზლებულმა საზოგადოებამ და ქართულმა პრესამ ამ ხანებში დიდი პროპაგანდა გასწია უცხოელებზე მამულის გაყიდვის შესაჩერებლად. მაგრამ მემამულენი, რომელნიც დაშინებული იყვნენ რევოლიუციის დროინდელი, მიწების ექსპროპრიაციისა და სოციალიზაციის პრინციპით, პრესის იდეურ მოწოდებას ყურადღებას არ აქცევდნენ და დაშურებით მამულს მამულზე ყიდდენ. მარტო შეგნებამ და წუხილმა არ იკმარა და საქართველოს მიწა-წყალი უცხო ტომის ხელში გადადიოდა წინააღმდეგ საერთოდ შეგნებულ ეროვნული ინტერესის მოთხოვნილებისა. ეს მდგომარეობა დღემდის გრძელდება. ეკონომიური კანონები თავის წესით მუშაობს; უქნარი მემამულე, რომელსაც მიწის მეტი არაფერი შერჩენია, თავის არსებობის საშუალებას ამ მამულების განაღდებაში ხედავს და ისიც, ხშირად შეიძლება სურვილის წინააღმდეგაც, უცხოელზე ჰყიდის თვის მამულს. თუ პირველ ხანებში მიწების გადასვლა უცხოთა ხელში არავითარ წუხილს არ იწვევდა და არავის ადარდიანებდა, რადგანაც არც ეროვნული იდეა არსებობდა და არც ზრუნვა ეროვნული აღდგენისა,—ამ ბოლო დროს ყოველი ასეთი კერძო აქტი დიდ სულიერ ალტყინებას იწვევს. ეხლა დიდია ეროვნულ-ზნეობრივი წუხილი და ვარამი. ეს არის და ეს. გამოიცვალა მხოლოდ ფსიხოლოგიური ვითარება საზოგადოებისა, ხოლო მამულების გადასვლა უცხოთა ხელში თავის გზით სწარმოებს, იგი ამ ფსიხოლოგიურ გამოცვლას ყურს არ უგდებს, არ დამორჩილებია. ამას წინად აღნიშნული იყო რომ შავი ზღვის პირად მდებარე ხე-ტყე, აზნაურ გურამიძის საკუთრება, არმავირელ სომხებს უყიდნიათო, ეხლა ცნობა მოვიდა რომ ზემო ქართლში, საფალავანდოში, დავით ბაგრატიონს რუსებზე გაუყიდნია ნახევარ მილიონ მანეთის სალირალი მამული. კიდევ არა ერთს და ორს ამგვარ მოვლენას ექნება ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. კიდევ ვიწუწუნებთ, კიდევ მოთქმას მივყოფთ ხელს და არც არაფერი გამოვა აქედან, როგორც აქამდინაც არაფერი გამოსულა. თუ სერიოზულად მოწოდებული ვართ, ჩვენი მიწა წყალი ჩვენვე შევინარჩუნოთ, აუცილებელია შექმნა ისეთი ეკონომიური ორგანიზაციისა, ისეთი ფულიანი საზოგადოების დაარსება, რომელიც შეისყიდიდეს გასასყიდ მამულს და შემდეგ შეღავათიან ფასებში მას გლეხებზე გაყიდავდეს ან თვით შეუდგებოდეს შეძენილ მამულის ექსპლოატაციას. თორემ მარტოოდენ პროტესტი და ცრემლთა ფრქვევა საქმეს ვერ უშველის და ვერ შეაჩერებს ჩვენი მამულების გადასვლას უცხო ტომის ხელში.

თბილისის ნიხრის უნიადაგობა

როდესაც შარშან ქალაქის თვითმართველობამ გამართა თათბირი სიძვირის გამო, თითქმის ერთხმად გადასწყვიტა, რომ **სპეკულიაცია სრულებით არ არსებობს,** არამედ სიძვირეზედ მოქმედობს მარტო საერთო პირობები: მოძრაობის არევ-დარევა, ფულის გაიაფება და სხ. და სხ.

ეს აზრი ამ სახით გამოთქმული მართალი არ არის, რადგანაც სინამდვილეში ორივე მოვლენას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამის თქმა ალბად მაშინ საჭირო იყო და ქალაქის „დუმამაც“ ეგრე გადასწყვიტა. ამასთან ნათქვამი იყო რომ ნიხრის დადებას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან ნიხრი კი **არ ასწორებს ფასებს** ან მოქმედობს მათზედ, არამედ მხოლოდ **აღნიშნავს** თუ ამა და ამ დროს რა საქონელზედ რა ფასი არისო. დღეს კი გარემოება შეიცვალა და იმავე „დუმამ“ **უაზრო ნიხრი** დააწესა და ერთი ხელის მოსმით გაცარცვა ქალაქი თითქმის ყოველგვარ სანოვაგისაგან. ქალაქში მომხდარმა უწესოებამ, დიდი მაღაზიების, ფართლეულობის და ტყავეულობის საქონლის გაცარცვამ, ამ საგნების სიძვირით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ—წამოაყენა ნიხრის საკითხი პამიდორზედ, საზამთროსა და კომბოსტოზედ და სხ. მსხვილი ვაჭრების ლოღიკა სწორედ ამ სწორე გზას დაადგა. ასეთმა უკუღმართმა დადგენილებამ, როგორც ყველა ადამიანი ხედავს, სრულიად განდევნა თბილისის ბაზრიდან ზოგიერთი საქონელი; და ასეც უნდა მომხდარიყო. წარმოიდგინეთ უბრალო მაგალითი: პამიდორი რომ შაურად გაიყიდოს გირვანქა, ე. ი. ორ მანეთად ფუთი წვრილ-წვრილად, მეწვრიმალემ იგი უნდა იყიდოს არა უმეტეს მანეთისა ბირუმად ვაჭრისაგან, რადგან, პამიდორი ბევრია და მალე ფუჭდება; ბირუმად მოვაჭრეს მარტო რკინის გზის ფრახტი და ჩატანა უჯდება 42 კაპ., ამას მიუმატეთ თავის სავაჭრო ხარჯები, ყუთების ხარჯი, თავისი გასამრჯელო და მას დარჩება **მწარმოებლისათვის** მისაცემად 20—30 კაპეიკი. მაშასადამე მწარმოებელმა რომ თბილისის ნიხრის მიხედვით გაყიდოს საქონელი, უნდა მიიღოს ფუთ პამიდორში საშუალოდ ხუთი შაური. აბა ეხლა ეს გადაიყვანეთ სხვა საქონლის ფასზედ. მაგალითად სამტრედიის გლეხმა იყიდოს ადელხანოვის უბრალო ჩუსტი, წინად ღირებული **ოთხ აბაზად** და ეხლა კი **რვა მანეთად,** მან უნდა გაყიდოს მაშასადამე **32 ფუთი პამიდორი,** ამავე პროპორციით აიწია ყოველმა საქონლის ფასმა და თუ ამ მოვლენის მოსპობა შეუძლებელია და მას არც არავინ ებრძვის, რომელი სამართლის ძალით იქცევა ქალაქის თვითმართველობა, როდესაც იგი თვის დადგენილებით მწარმოებელს იძულებულ ჰყოფს საქონელი **ომის წინა დროის ფასებში გაყიდოს.** ამასა ჰქვიან ორგანიზაციით მოწყობილი ცარცვა, რადგან გარეგნულად კანონიერი **ფორმა** აქვს მიცემული; ამას არავინ ეწინააღმდეგება, მაშინ როდესაც უბრალო ცარცვას, ასევე უაზროს და დასაგმობს ყველა მოვაჭრე მიწასთან ასწორებს. პოტენტატური ლოღიკა სწორედ აქ არის: როცა მე გცარცვავ და გახრჩობ—კარგია, კანონიერია, როცა შენა მცარცვავ—ცუდია, დანაშაულობაა.

ასეთ პირობებში, რაღა თქმა უნდა, მწარმოებელიც ეძებს გამოსავალს და გიჟი იქნება თბილისში გამოგზავნოს რამე, როდესაც ადგილობრივ, **უხარჯოდ,** უკეთეს ფასებში ჰყიდის, რადგან თითონ მყიდველი—ვაჭარი ჰგზავნის საქონელს იქ, საცა ნიხრი არ არის და მოგებით გაჰყიდის ბაქოსა, ბათომსა და სხ. ქალაქებში, ბორჯომში, ბაკურიანში და სხ. აგარაკებზედ. ამ გვარად თბილისს გარშემო ველის სანოვაგე (გზების არევ-დარევის მიუხედავად) და შიგ არაფერი რჩება რა. ამას მიაღწიეს ვაჭრებმა თავისი უადგილო ნიხრით.

ნიხრს მხოლოდ მაშინა აქვს აზრი, როდესაც მთელ იმპერიაში იქნება შესწორებული ეკონომიური მდგომარეობა და სარეგულიაციო ზომები მიღებული, თორემ ესეთი **შემთხვევითი** ზომებით არაფრის გასწორება არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება თბილისის მაღაზიების დარბევით, სიძვირის გაძევნა და ნიხრის დაწესება პამიდორზედ, საზამთროზედ და სხ. ამისთანა მალე გასაფუჭებელ სანოვაგეზედ ათასკეცად უფრო უაზროა, რადგან მათ გაყიდვას განსაზღვრულ ფასებში თვით ბუნება უწყობს ხელს: არ გაჰყიდი, გადასაყრელი გაგიხდება და იზარალებ, მაშინ როდესაც ჩუსტებისა, ტყავისა, ფართლეულისა, საგალანტერეიო და სხვათა გაყიდვას ბუნებაც ვერ დაგაძალებს, თუ სინიდისი დაგიკარგავს, და ყველაფერს ერთი-ათად და მამასისხლად ჰყიდი.

ყველა ზემოხსენებულიდან ნათლადა სჩანს ნიხრის უნიადაგობა და უსამართლობა როგორც მწარმოებელთათვის, ისე, მომხმარებელისათვის, რომელიც ნიხრის გამო რჩება სულ უარაროდ. ამას ვალდებულია მიაქციოს ყურადღება ადმინისტრაციამ რადგან რუსეთის იმპერიაში, მგონი, ერთად ერთი ქალაქია თბილისი, საცა ეკონომიურ საკითხებში, ადმინისტრაცია უფრო პროგრესიული ტენდენციებით არის აღჭურვილი, ვიდრე „საზოგადოებრივი თვითმართველობა“, როგორცა ჰქვიან საუბედუროდ თბილისის ვაჭართა „დუმას“. ეს ის თვითმართველობაა, რომლის ჯავარი ჯაბარი და მისნი თანამშრომელნი თვითონ ეწეოდნენ შაქრისა, ფქვილისა და სხ. სპეკულიაციას და რასაკვირველია სხვებსაც ვერ დაუშლიდა.

რ. გ.

მოსალოდნელი საფრთხე

რუსეთის სახელმწიფო სამსახურის ვალდებულება კიდევ ითხოვს ჩვენგან უდიდეს მსხვერპლს.

მრავალ გასაჭირისაგან ღონე მიხდილმა საქართველომ საომრად უნდა განიშოროს საუკეთესო ნაწილი თავის შვილთა—უკანასკნელი ცოცხალი ძალა ქვეყნისა. მრავალტანჯული ამ გასაჭირსაც ჩვეულის მხნეობით შეხვდება და სახელმწიფოებრივი ვალის გრძნობა მხნეობას მისცემს, მომავლის ნათელი ჰჭვრეტით შეხედოს ამ უბედურებას.

მსხვერპლი აუცილებელია და მდგომარეობის სრული შეგნებით უნდა შევხვდეთ ყოველივე გასაჭირს.

განვლილი „მობილიზაციის“ მაგალითები გვარწმუნებს, რომ რამდენად უფრო მტკიცედ შევხვდებით ამ უკანასკნელს, მით უფრო ადვილად მოწესრიგდება გაწვეულთა შინაური საქმეები და ურთ-ერთთა დახმარებით ადვილად განვლიან მოვლინებულ განსაცდელს.

მრავალი მტერი გვყავს და ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მათგანი გაფაციცებით ელის ისარგებლოს ჩვენი უმწეო მდგომარეობით და საშინელ დროს ნუ მივსცემთ საშუალებას თავზარი დაგვცეს მოულოდნელად.

მოსული ცნობებით სოფელ-სოფელ უკვე დაძრწიან საეჭვო პირები და უმნიშვნელო ფასებში ყიდულობენ მათ მამულებს, ვინც გაწვევით შეშინებული ისწრაფვის ფულად აქციოს თავის მამული ან თუ სხვა უძრავი ქონება.

ჭიათურაში 8 მაღაზია უყიდიათ სომეხთ და ებრაელთ. ბერძნები, რომელნიც მხოლოდ ცარცვა-გლეჯისთვის მოვლინებულან საქართველოში და კომერსანტების ტანსაცმელში ჩარჩობას აწარმოებენ, სიამოვნებით იგირავებენ შიშით დაბნეული ხალხის შავი ქვის მადნით სავსე მიწას და სხვა ქონებას. მდგომარეობა საშიშია და ამას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

ძლივს ვიგრძენით რომ ჩვენი ხსნა ეროვნულ სიმდიდრეშია. გამოღვიძებული საქართველო ფეხზე სდგას და ყოველ ღონეს ღონობს როგორმე დაკარგული დაიბრუნოს და ეხლა ასე ადვილად როგორ უნდა გაუშვათ ხელიდან, რაც ჩვენს საკუთრებას შეადგენს.

აუტანელია მდგომარეობა სოფლელთა, უმწეონი არიან მომავალ საშინელებასთან, მაგრამ გრძნობამ საქართველოისამ უნდა აღამაღლოს ყოველი თავის პირად უბედურებაზედ და ამდენი ხნის ტანჯვა წვალებით შერჩენილ მამულს ასე ადვილათ ნუ გაიმეტებს.

ნურავინ დაივიწყებს რომ ყოველი საკუთრება კერძოდ პირადია და საერთოდ საქართველოსი.

ამით დავამტკიცებთ, რომ ძალა ჯერ კიდევ ჩვენშია და ვერავითარმა წარსულმა ცდომილებამ ვერ უნდა გაარღვიოს ეს ჩვენი მტკიცე შეგნება.

ლ. ჯ.

ოფიციალი განცხადება

გაზეთ „კავკაზის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალი განცხადება მაღაზიების აკლების შესახებ ქ. თბილისში ორ ამა მკათათვიდან. მოგვყავს უცვლელად შინაარსი ამ განცხადებისა:

„ორ მკათათვეს დილით დედაკაცებისაგან და ბიჭებისაგან შემდგარმა ბრბომ დაიტაცა ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში პამიდორი, რომელსაც „ტაჩკით“ მეტად ძვირადა ჰყიდდნენ. იგივე ბრბო, რომელსაც კიდევ სხვებიც შეუერთდნენ, მიეჭრა ამის შემდეგ იქვე მახლობელ მეწვრილმანეს და მოსთხოვა ბოსტნეულობის ნაკლებ ფასში გაყიდვა, ვიდრე თვით მედუქნე ჰყიდდა. ამ უთანხმოების დროს გაჩნდა პოლიცია, რომელმაც მოისმინა რა აღელვებულ ბრბოს განცხადება აუტანელ სიძვირის შესახებ პირველ მოთხოვნილების საგნებზე, თვისი წინამძღოლობით დაიწყო ნიხრზე გაყიდვა მაღაზიებიდან სხვა და სხვა საქონლისა, შემდეგ კი ბრბოს ზოგიერთ წევრთა განცხადების ძალით დაიწყო აღმოჩენა ვაჭრების მიერ საწყობებში დამალულ სანოვაგეთა და ადგილობრივვე გასყიდვა. პოლიციის ამნაირმა ზომებმა დაამშვიდა ბრბო და მშვიდობიანად დაიშალა. სამსა და ოთხ მკათათვეს დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, რადგან პოლიციელნი ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში თვალყურს ადევნებდნენ, რომ ვაჭრებს ნიხრზე ეყიდნათ საქონელი; მხოლოდ 4 მკათათვეს საღამოს ქალებისაგან შემდგარმა ბრბომ ჩერქეზოვის ქუჩაზე დაიწყო აკლება პატარა საფართლეულო დუქნისა, მაგრამ პოლიციის დახმარებით ბრბო გაბნეულ იქმნა და აკლება მოსპობილ.

5 მკათათვეს დილით ქალთა ჯგუფმა დაიწყო ლეწვა მიხეილის პროსპექტზე დოროღნოვის საფართლეულო მაღაზიის შუშებისა და საქონლის ტაციობა. მალე ამ ჯგუფს შეუერთდენ სხვა და სხვა მხრიდან სხვებიც და დიდ ბრბოთ გადიქცა. პოლიციის და ქვეითა ჯარის კაცთა სიმცირის გამო, რომელიც ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში იყვნენ გაფანტულნი მოსალოდნელ არეულობის თავიდან ასაცდენად, ბრბომ მოასწრო მაღაზიების აკლება. იმავე დროს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილშიაც დაიწყო მაღაზიების აკლება. ჯარის კაცთა და პოლიციის შეწეობით ქალაქის ბევრ ნაწილში ბრბო გაფანტულ იქმნა. მაღაზიების აკლება მთელ დღეს სურდათ. ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. 6 მკათათვეს დილით თუმცა რამდენიმე შემთხვევა იყო მაღაზიების აკლებისა, მაგრამ პოლიციის და ქვეითა ჯარისკაცთა დახმარებით ეს აკლება თავიდანვე იქმნა აშორებული. საღამოს 5 საათისთვის ქალაქში წესიერება ჩამოვარდა.

დაზარალდა აკლებისაგან 43 სავაჭრო სახლი. მათშორის 19 საგრძნობლად, დანარჩენი ცოტად. ნაწილი გაქურდულ საქონლისა დაუბრუნდათ პატრონებს.

საქონლის მაღაზიებიდან გამტაცებელნი და აკლების წამქეზებელნი შეპყრობილ იქმნენ და გამომძიებლის განკარგულებაში გადაეცნენ.

მათი იმპერატორებითი უმაღლესობის ბრძანებით მეფის ნაცვლის საბჭოს წევრს ბ-ნ პროტასიევს მიენდო 5 და 6 მკათათვეს მომხდარ ქ. თბილისში არეულობის მიზეზთა გამოკვლევა და აგრეთვე პოლიციის მოქმედების გამოძიება ამ არეულობის მოსპობის დროს.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გენერალ სახაროვის გამარჯვებას აუცილებლივ წვერებზე ბრძოლა მოჰყვებოდა. ჩვენ კვირის ნომერშივე აღვნიშნეთ, რომ ბროდის აღებით გენ. სახაროვმა არა მარტო ბრძოლის ხაზი გაასწორა, სრულიად უზრუნველ ჰყო ბუკოვინაში მომქმედი რუსის ჯარი შემოვლის ხიფათისაგან და გზა გაუხსნა წინ სვლისათვის. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა ერთის მხრივ ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს. ქ. ბროდის აღებით უსარგებლია გენ. ლეჩიცკის, მიუტანია იერიში, დაუმარცხებია მტერი და ახლა ფეხდაფეხ სდევს ავსტრიელებს, რომელიც სტანისვასაკენ იხევს. ამ უკანასკნელ ქალაქის აღების შემდეგ უეჭველია ავსტრიელების ჯარი, რომელიც გამაგრებულია ტარნოპოლში, იძულებული შეიქნება სიმაგრეები დასტოვოს და პერემიშლის ბრძოლის ხაზზე გადავიდეს. მით უმეტეს, რომ თვითონ გენერ. სახაროვის ჯარი ბროდის შემდეგ, თუ კი წინსვლას განაგრძობს, ზურგიდან დაემუქრება და შეეცდება მთავარ საოპერაციო ბაზას მოსწყვიტოს. საზოგადოთ გალიციაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ავსტრიელები იძულებულნი იქმნებიან კარგა მანძილით უკან დაიხიონ და ისევე კარპატებს შეაფარონ თავი.

გენ. სახაროვის გამარჯვებამ გავლენა იქონია აგრეთვე კალედინზე. უკანასკნელსაც დაუწყვია შეტევა და ბრძოლის ხაზი გაურღვევია. ამავე დროს მდ. სტოხოდზეც რუსის ჯარი გადასულა მარცხენა ნაპირზე.

უცვლელია მხოლოდ ბარანოვიჩის ბრძოლის ხაზი. ამ მიდამოებში ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ გერმანელების ჰაეროპლანებმა მოქმედებას მოუხშირეს.

კავკასიის ასპარეზზე რუსეთის ჯარი წინსვლას განაგრძობს.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 17 მკათათვე. ოფიციალი. 12 გერმანელი ჰაეროპლანი თავს დაესხა ქ. დვინსკს და 40 ყუმბარა ჩამოაგდო. ჩვენი ავიატორები, რიცხვით 12-ი, გამოეკიდნენ მტერს და უკუ აქციეს. ავიატორმა კაზაკოვმა ერთი მტრის ჰაეროპლანი დააზიანა და ძირს ჩამოაგდო. ჩვენებს ზარალი არ მოსვლიათ. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით ერთი მტრის ჰაეროპლანი მდ. სტოხოდის მარცხენა ნაპირზედ ჩვენი მოწინავე რაზმები სიმაგრეებს აგებენ. კოველის და ბროდის მიმართულებით და აგრეთვე მდ. დნესტრის მიდამოებში ჩვენი ჯარი წინ სვლას განაგრძობს.

კავკასიის ასპარეზი. გიუმიშხანის დასავლეთით ოსმალებმა ორჯელ სცადეს იერიშით წამოსულიყვნენ, მაგრამ უკუ ვაქციეთ. სივასის და ხარფუთის მიმართულებით ჩვენ რამდენიმე გამაგრებული ადგილები ავიღეთ.

პეტროგრადი, 17 მკათათვე. მდ. სტოხოდზე ბრძოლა ხელსაყრელად მიმდინარეობს. 16 მკათათვეს წამოვიყვანეთ 21 აფიცერი და 970 ჯარის კაცი ტყვე. კოველის მიმართულებით როჟიცა-კოველის რკინის გზის სამხრეთით ჩვენებმა გაარღვიეს მტრის ბრძოლის ხაზი და წინ მიიწევენ. წამოვიყვანეთ ტყვე 12 აფიცერი და 300 ჯარის კაცი.

პეტროგრადი, 15 მკათათვე. ოფიციალი. ჩვენმა ავიატორებმა, რიცხვით 12-მა ყუმბარები დაუშინეს ბარანოვიჩს. გენერალ ბრუსილოვის ჯარმა კოველ-როჟიშჩეს რკინის გზიდან მოყოლებული ქ. ბროდამდე იერიში მიიტანა, აიღო უკანასკნელი ქალაქი. გენერალ ლეჩიცკის არმიამ უკუ აქცია ავსტრიელები ქ. სტანისლავის მიმართულებით. მამაცმა კავკასიის დივიზიამ იერიში მიიტანა მტერზე და აიღო ეზერზანი. 15 მკათათვეს ჩვენ წამოვიყვანეთ 400 აფიცერი და 20,000 ჯარის კაცი ტყვე. ხელთ ვიგდეთ 55 ზარბაზანი.

კავკასიის ასპარეზი. სივასსის და ხარფუთის მიმართულებით ჩვენები წინ სვლას განაგრძობენ. 14 მკათათვეს ოსმალებმა იერიში მოიტანეს ჩვენი რაზმის მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ ქართველ მსროლელთა რაზმის მამაცი კონტრ-იერიში უკუქცეულ იქმნენ. უკან დახევის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ თოფები და პატრონები.

პეტროგადი. ოფიციალი ცნობა. დასავლეთი ფრონტი. მდინარე სტოხოდზე გოლევიჩის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ხიდები გასდო, მარცხენა ნაპირზე გადავიდა და იქ გამაგრდა. მოწინააღმდეგეთა ჰაეროპლანები ლოგიშინის მიდამოებში და სადგურ მანევიჩთან გამოჩნდნენ, ჩამოყარეს ყუმბარები. კოველ-როჟიშჩეს რკინის გზის სიგრძეზე ჩვენი ჯარი წინ იწევს. მოწინააღმდეგე მდ. სტოხოდის გაღმა ნაპირზე გადის. ლუცკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენს ჯარს მოწინააღმდეგეთა მრავალი ჰაეროპლანები თავს დასტრიალებენ, ყუმბარებს ჰყრიან და ტყვიისმფრქვეველს ესვრიან. დნესტრიდან ჩრდილოეთით სტანისლავის მიმართულებით ჩვემა ჯარმა მოწინააღმდეგეთაგან წინდაწინ გამზადებული სანგრები დაიჭირა. შედეგი გამარჯვებისა მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება ითქვას. ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ 15 და 16 მკათათვეს ბრუსილოვის ჯარმა ტყვედ შეიპყრო 2 გენერალი, 651-ზე მეტი აფიცერი, 32,000 მეომარი. ამათში საგრძნობი რიცხვი გერმანელია. 21-დან 114 ზარბაზანი, აქედან 23 მძიმე. ამ რიცხვში გენერალ ლიჩიცკის ჯარმა ხელთ იგდო 21 გერმანელთა მძიმე ზარბაზანი და 85 ტყვიისმფრქვეველი. ამ რიცხვში ნაწილი შევიდა და ნაწილი არა გენერალ სეხოროვისაგან ბროდასთან სამის დღის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი და ტყვე 216 ოფიცერი, 13,569 მეომარი, 9 ზარბაზანი, 40 ტყვიიმფრქვეველი, 15000 თოფი. სულ მთლად სამიდან ხუთმეტ მკათათვემდე გენერალ სახაროვის მიერ შეპყრობილა 940 ოფიცერი, 39,152 მეომარი, 49 ზარბაზანი, აქედან 17 მძიმე. 100 ტყვიისმფრქვეველი, 39 ყუმბარების სასროლი და 80 ყუთი ყუმბარა 76 ყუთი გატენილ სასროლ მასალით, 58 ყუმბარების ორკაპი და 6 ცხენოსანთა და საინჟინერო საწყობი.

—

პარიზი, 17 მკათათვე. ოფიციალი. შალონის მიდამოებში ფრანგებმა გაჰფანტეს გერმანელების მზვერავთა რაზმი. მაასის მარჯვენა ნაპირზედ გერმანელებმა უშედეგო იერიში მოიტანეს. ფლერიდან მოყოლებული ვიდრე ფიუმენის ტყემდე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ადგილებში მთელ ღამეს მყუდროება არ დარღვეულა.

ლონდონი, 16 მკათათვე. წარსულ ღამეს გერმანელებმა ორჯერ გააფთრებული იერიში მოიტანეს დელვილის ტყიდან, მაგრამ ორჯელვე დიდი ზარალით უკუაქციეს. პოზიერის ჩრდილოეთით განუწყვეტელი ხელ ჩართული ბრძოლაა. ამ ადგილებში მიუხედავად საშინელ წინააღმდეგობისა, ჩვენ წინ მივიწევთ. გუშინდელ დღის აქეთ საარტილერიო ბრძოლა უფრო გაძლიერდა.

ლონდონი. ღამის პირველ საათზედ ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებზედ გამოჩნდა სამი ცეპელინი; ჩამოაგდეს 32 ყუმბარა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვილჰელმი კიოლნში.

ვილჰელმი რუსეთის ასპარეზზე იყო. აქედან გაბრუნებისას კიოლნში შეიარა. აქ კიოლნის განთქმულ ტაძარში დიდხანს ილოცა.

მფრინავის დაღუპვა.

ცნობილი გერმანელი მფრინავი პერშაუ რუსმა მფრინავმა დაღუპა.

კაზმენტის დასჯა.

კაზმენტის დასჯა 3 მარიამობისთვისათვის არის დანიშნული.

ახალი ყუმბარები.

გერმანელებს ახალი ჯურის ყუმბარები გამოუგონიათ. ეხლა მათი მფრინავები ისეთს ყუმბარებს ისვრიან, რომელიც მიწაზე დაცემის დროს სკდება და ნამსხვრევები მიწის ზედა პირზე იშლება და ირგვლივ ყოველისფერს ანადგურებს.

რუბინშტეინის საქმე.

რუბინშტეინის მოზიარეთა აღმოსაჩენად კავკასიისკენაც გამოიგზავნა მონარქისტების წარმომადგენელნი მოსკოვიდან. „რუს. სლოვ.“ აცხადებს, რომ მის მიერ დაბეჭდილი ცნობა ანდრონიკაშვილის დატუსაღებისა მართალი არ გამოდგა.

საზონოვის გადადგომის გამო.

მოკავშირე სახელმწიფოთა პრემიერ მინისტრებმა და მინისტრებმა დეპეშები გამოუგზავნეს, სადაც სანანურად მიაჩნიათ საზონოვის გადადგომა.

ავიატორი მარშალი.

საფრანგეთის გაზეთები დიდის აღტაცებით იხსენიებენ ავიატორ მარშალს, რომელიც დასავლეთ ბრძოლის ველიდან ბერლინში გადაფრინდა. გაზეთების სიტყვით გერმანელებზედ გაცილებით მეტს შთაბეჭდილებას მოახდენდა, ავიატორ მარშალს პროკლამაციების მაგიერ ბომბები დაეშინა ბერლინისთვისო.

ირლანდიის საკითხი.

ირლანდიის საკითხი, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში თითქმის ყველას ეგონა, რომ სამუდამოდ გამოირკვა, არ გამართლდა. შეთანხმება ვერ მოხდა და საკითხი ისევე ღია დარჩა. ირლანდიის წინამძღოლის რედმონდის სიტყვით ბრალი ამაში მხოლოდ სამინისტროში მყოფთ კონსერვატორებს უდევთ. უთანხმოება გამოიწვია ორმა მთავარმა საკითხმა: ვერ შეთანხმდნენ რედაქციის დამუშავებაში, რომელიც შეეხებოდა ოლსტერის გამოყოფას და ინგლისის პარლამენტში მყოფთ ირლანდიის დეპუტატებს.

ავსტრიელებისა და გერმანელების აზრი საზონოვის გადაყენების გამო.

გერმანეთის პრესა თავდაჭერილად შეხვდა საზონოვის გადადგომას. თითქმის ყველა გაზეთები იმ აზრს იმეორებენ, რომ საზონოვის მოადგილე შტიურმერი არ შესცვლის რუსეთის საგარეო პოლიტიკას და საზონოვის გზას არ გადაუხვევსო. გაზეთები აფრთხილებენ მკითხველებს, დიდ იმედებს ნუ დაამყარებენ ახალ მინისტრზედ და მიიღონ ისე, როგორადაც უბრალო მოვლენა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებისა.

თითქმის ამავე აზრისა არიან ვენის პოლიტიკური წრეებიც, თუმცა ამასთანავე ზოგიერთნი საზონოვის გადაყენებას მნიშვნელობას აძლევენ იმდენად, რამდენადაც საზონოვის სახელი დაკავშირებული იყო მსოფლიო ომთან.

რუსეთის ტყვეები ავსტრიაში.

„უნივერსალი“ რუსეთის ტყვეების შესახებ შემდეგს იტყობინება: ტემლიცის სადგურზე, ვენგრიაში, მოვიდა მატარებელი, რომელმაც 12 ვაგონი ასაფეთქებელი მასალა მოიტანა. მთელი ეს აუარებელი მასალა, რომელიც გადაიტანეს შმიტის საწყობში, ავსტრიელებს სურთ მოახმარონ ქ. ლოკოშას და კარანსებეჟის სიმაგრეების ასაგებად. ტემეშვარიდან სამუშაოდ გადმოუყვანიათ 12 ათასი რუსის ტყვე. მუშაობა მათ ისეთ საშინელ პირობებში უხდებათ, რომ ვერა სძლებენ და დღეში ათი-ხუთმეტი კაცი იხოცებაო.

ვილსონის დეპეშა.

პრეზიდენტ ვილსონს დეპეშა გაუგზავნია ბერლინში გერმანეთის იმპერატორთან. ვილსონი ემუდარება ვილჰელმს ნება დართოს ნეიტრალურ სახელმწიფოებს მიაწოდონ სანოვაგე დამშეულ პოლონეთს.

რუმინეთი.

„უ. რ.“-ში მოთავსებულია წერილი, რომლის შინაარსი მოკლედ მოგვყავს:

რუმინეთი მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს. აქამდე მას არ უთქვამს არც ჰო, არც არა. ყველა შეკითხვაზე რუმინელი მოხერხებით გიპასუხებთ, სადაც არც დასტური გამოიხატება და არც უარყოფა. გერმანული გაზეთი სწერდა, რუმინეთი ხორბალს გერმანეთ-ავსტრიაში აღარ გაუშვებსო, მაგრამ ეს სინამდვილეც იყო და ტყუილიც.

რუმინეთის ცენტრალურმა კომისიამ გვამცნო: მოვალეობის ძალით რუმინეთმა გერმანეთს უნდა მისცეს 15000 ვაგონი ხორბალი, ხოლო ამის შემდეგ ხორბლის გატანას აკრძალავს, რათა თვითონ რუმინეთი შიმშილს აასცდინოსო.

ამ ეკონომიურ საკითხში რუმინეთმა აბრუნდი გააკეთა. ასევე იქცევა პოლიტიკურშიაც.

როდესაც რუსები კარპატებს გადასცილდნენ, რუმინეთის მთავრობა ბრატიანუს პირით ამბობდა: საუკეთესო მომენტი გავუშვი და ავსტრიას ომი არ გამოუცხადეო—ამას ამბობდა მაშინ, როცა რუსებმა კარპატები დასტოვეს. ეხლა რუსებმა რომ ხელახლად შეუტიეს, ბრატიანუ ალაპარაკდა, მაგრამ სხვა ჰანგზე. გერმანოფილურ გაზეთებს ეკამათებიან: უნიონისტების აზრმა და მოქმედებამ ვერ გაიმარჯვაო. საჭიროა ომში ჩარევაო, მაგრამ... აქაც აბრუნდს შერებიან და საბერძნეთზე უთითებენ, მოკავშირეებს მიემხრობაო. როცა იკითხავთ: რუმინეთი ვის მიემხრობა? რუმინეთის პოლიტიკები ცბიერად იღიმებიან.

ამავე დროს დეპეშებს ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნობა მოაქვს: უნგენზე მატარებლით რუმინეთს 630 ვაგონი სასროლი მასალა მოუვიდაო, რომელიც ინგლისს, საფრანგეთს და ამერიკას შეუკვეთაო და 30 ვაგონს კიდევ მოელისო“.

გულუბრყვილო მკითხველი იფიქრებს: რაკი ინგლის-საფრანგეთიდან მოაქვს, სჩანს რუმინეთი მოკავშირეების მხარეს არისო, მაგრამ იმედი უმალ ცრუვდება, რადგან მეორე დეპეშა იტყობინება: რუმინეთმა სოფიიდან (გერმანელებისგან) აუარებელი ჰაეროპლანები და სხვა მიიღოო.

გამოდის რომ რუმინეთი მოკავშირეებისაც ყოფილა და ცენტრალ სახელმწიფოებისაც.

ცნობა აგრეთვე, რომ მარიამობისთვეს რუმინეთი მდგომარეობას შეიცვლისო, მაგრამ ვის სასარგებლოდ?

აი რას უნდა მიაქციონ ყურადღება მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა და გამოარკვიონ საბოლოოდ, ვისკენ არის რუმინეთი, რათა ერთხელ და სამუდამოდ აშკარა იყოს, მართლა ვის მხარეს არის რუმინეთი და რას განიზრახავს?

სოფ. ძალინა—მისი ისტორიული მნიშვნელობა

სოფ. ძალინაში ორი ციხეა ნაშენი თავის დარბაზებით, მარნებით და ეკლესიით. უწინ იმერეთისაკენ საცალფეხო გზა მიდიოდა ქართლიდან და ძალინაზედ უნდა გაევლო, „შვილდაურის“ გზას ეძახდნენ და ეხლაც არის ეს გზა.

ამ ძალინას ზემოდ არც ერთი სოფელი არ იყო გაშენებული, სადაც ეხლა მრავლად გაშენდა. გაუვალი ტყეები იყო იმერეთისკენ და ამ ტყეებზედ ერთად-ერთი საცალფეხო გზა—ეს „შვილდაურის“ გზა იყო და ბევრჯელ ამ გზით დასცემიან ლეკები იმერეთს.

ეს გზა გადის სოფ. ურუნაზედ და ჩანთოში ძირულას ხეობაში ჩადის.

მეორე გზა მიდიოდა წორბისიდან გომართის ეკლესიით, მიდიოდა სერსერ, გადიოდა პატარა „ლოხონზედ“, გაივლიდა მოტიტვლებულ მთაზედ „პერანგაზედ“ და ჩადიოდა ქალაში აბაშიძიანთ სოფელში.

ამ გზითაც იმერეთს ბევრჯელ უნახავთ ლეკები.

ძალინის ციხეებს და წორბისისას—როგორც სიმაგრეებს—ბევრჯელ გადაურჩენიათ იმერეთი ლეკების აკლებისაგან.

ამ ძალინის ციხეების შესახებ თ-დ ფალავანდიშვილებს დავა ჰქონიათ ერთმანეთში და მიუმართავთ მეფე ერეკლესთვის. აი, თვით მათი არზა:

„ქ. ღ-თან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი ფალავანდიშვილებს იაკობს და ბერს მისცეს. მერმე ამას მოგახსენებთ **მათ სიმაღლეს** და ამას გვედრებით, რომ ჩვენს ძმებს ჩვენის მამულის გარჩევა აღარ დასცალდათ და თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქმნენ და ახლა ჩვენი სახლიკაცები მძლავრობითა და უსამართლოთ სასახლესა და საყდარს გვედავებიან. ამას გევედრებით, რომ ზაალ დაყითაშვილზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, რომ საცა ჩვენი მამული იყოს, სამართლიანის რიგით გამოგვირჩიოს, სასახლეცა და ის საყდარიც ნაყიდია, ამაში ჩვენ სახლი-კაცებს ხელი არა აქვთ. ღ-თ გავიმარჯვებთ. მარტის კ. ქნს. უჲთ (1782)“.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის, დავითისშვილო ზაალო, ამ არზით ფალავანდისშვილებს იაკობს და ბერს, რომ ასე მოიხსენებიან, სამართლის საქმით შენ გაურიგე, ამაზე ბეჯითი იყავ. მაისის კზ. ქნს უჲთ“.

„ქ. თუ გაჭირდეს, ამილახვართან მიიყვანე და მან უსაჯოს (ერეკლე)“.

გაიარა ათმა წელიწადმა მას შემდეგ და ხელახლად დავა ასტყდება ძალინას ციხეზედ მათშორის და მიმართვენ იულონ ბატონიშვილს გასამზადებლად—აი, რას ვკითხულობთ ერთ არზაში მათ შესახებ:

„ქ. ღ-თნ ბედნიერების ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მისცეს ფალავანდისშვილებს გლახას, როსტომს, ზურაბს ბერს და იაკობს, მერმე ამას მოგახსენებთ, სასახლე და ციხე ნახევარი ჩვენია და ნახევარი ერეკლე ფალავანდისშვილისა. გიორგი მეფეს გაუყრივართ და იმისი გარიგებული საქმე და განჩინულობა იმასაც უჭირავს და ჩვენცა,ახლა რომ ძალინა აშენდა, ციხეში შეგვასწრო, ჩვენი წილი აღარ დაგვანება, მანამდის ჩვენჩვენი გვეჭირა და იმას თავისი წილი, ახლა აღარ დაგვანება,

„ღ-თ გაგიმარჯვებსთ, ერთი იასაული გვიბოძეთ, რომ თქვენთან გიახლოთ და გველაპარაკოთ, თქვენმა ბედნიერმა თვალმა გაარჩიოს ჩვენი სამართალი, ის კაცი შფოთს გვიშვრება.

ღ-თ გაგიმარჯვებსთ, ამას გვედრებით, რომ უშფოთრათ გაგვაშველოთ. კათათვის კჲ ქ-ნს უჲთ“ (1792 წ.)

„ქ· ბატონიშვილი იულონ გიბრძანებს, რევაზ მაჩაბელო, მერე ამ აზრით ფალავანდიშვილები რომ ასე ჩივიან, შენ მიდი ერეკლე ფალავანდიშვილთან, ან იქავ გაუსწორდეს ამ თავის განაყოფებს და ან არა და ყველანი ჩვენს სამართალში მოიყვანე კათათვის კჲა ქ-ნს უჲთ“.

ამ დავიდარაბის შემდეგ რა შერჩათ ამათ ან იმათ ჩამომავლებს? არაფერი—დღეს ძალინას ციხე დარბაზები და მათი სასაფლაოები სასკორეთაა გადაქცეული!

აღსანიშნავია ძალინას ვერცხლის მადანიც, გვირაბებიც არის ეხლა. ამ მადანს მუშაობდნენ ქართველი მეფეების დროს.

ძალინას ერთ ხევში ეხლაც ეტყობა იმ ადგილას, სადაც შესანიშნავი კაკლის ძირი იდგა, ვახუშტიც მოიხსენიებს ძალინას მადანს და კაკლის ხესაც,—ნიგვზის წებალი და თხილის გული ერთ ნაჭუჭში იყო გამოკრული, მტრელას მგზავსი გამოსახულობა ჰქონდა, როგორც ამბობენ მომსწრენი და ეს კაკლის ძირი წმინდა ხეთ მიაჩნდათო.

მეცნიერ მეურნეთა საყურადღებოთ უნდა ითქვას, რომ შესაძლებელი ყოფილა კაკლისა და თხილის შეუღლება (гибридація растеній).

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ფალავანდიშვილები და მათი გლეხებიც აქა ცხოვრობდენ, ურიებიც ბლომად მოსახლეობდნენ ახლანდელ ძალინის ჰალაში, წინად-კი მუხაუბანს ეძახდენ. ეხლაც იმ ადგილს ეტყობა ნანგრევები, ურიებს თორაც ჰქონიათ აშენებული, ღვინის ქვევრებიც მოსჩანან.

ეხლანდელი მუხური-კი გაშენდა ამ ჰალის ზემოდ, გასჩეხეს მუხის ტყე და დაასახლეს ხიზანი ოსები.

ძალინაში სომხებიც სცხოვრობდნენ, როგორც მომსწრე პირთაგან მაქვს გაგონილი და გადასახლდნენ საჩხერეში. ებრაელები-კი, როგორც ზევით მაქვს ნათქვამი ჯერ ცერონისში დაასახლეს, შემდეგ, როცა ვიწროობა შეიქნა, აჰყარეს და ბრეთაში გადასახლდნენ, იქიდან ცხინვალში.

დღეს-კი ძალინაში ძველად დასახლებული ხიზანი ოსები ყაჩმაზაშვილები და გაგიშვილები ცხოვრობენ და ახლად დასახლებული ხიზნები.

ძალინაში 42 კომლი ხიზანი ითვლება და ზომით 350 დესეტინა მიწა იქნება, სახმარი ტყე მოსპეს ოსებმა და ბუჩქნარი ტყე აქა-იქ მოიპოება.

სხვათა შორის უნდა დაუმატო გაგონილიც, რომელიც ერთი მოხუცებული ოსისგან გამიგონია: ბებია ჩემი იტყოდა ხოლმე, მეფე ერეკლე—ის ღვთისაგან განათლებული—ვანახე და ხელზედ ვემთხვიეო, აი ამ ცაცხვის ქვეშ (ეხლაც არის ეს ცაცხვი) ბძანდებოდა და აქ მიეგებნენ აქაური დიდებულნი და მთელი ძალინის მცხოვრებნიო, მაშინ ძალინა პატარა ქალაქი იყოო. ციხე-სიმაგრეებს ათვალიერებდა ის ღ-თისაგან განათლებული მეფეო, აქედან იმერეთისკენ გადავიდნენო.

—

სოფ. ოქონა და მისი სიგელი.

1830 წლის შემდეგ თ-დმა ფალავანდიშვილებმა მიატოვეს სოფ. ძალინა და ციხე-სასახლეები, გამოიყიდეს თან ყველა იქ მცხოვრები გლეხები და ურიები, იწყეს სახლება ჯერ ოქონაში და შემდეგ ოქონიდან გადასახლდნენ კნოლევში, ცერონისში და თამარშენში.

სოფ. ოქონა ძველ დროს სამონასტრო მამული იყო, ვიღაც გაბელიძეს ეკუთვნოდა და მეფე ალექსანდრეს ფალავანდიშვილებისთვის „ნასისხლად“ მიუცია. ისევ სიგელი წავიკითხოთ, უფრო ნათლად დავინახავთ:

„ქ. გვირგვინოსანის მეფეთ-მეფისა ალექსანდრესაგან ისეიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატიონთა ნებითა და შეწევნითა ღვთისათა წარმომართებული მეფობისა ჩვენისაო წმინდაო სკიპტრა პორფირ და გვირგვინ მეტეხთა და სახელსა ღ-თს მშობელი მეოხებით თქვენიცა აფხაზთა, ქართველთა, ჯიგთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისათა, შავშ შარვაშთა და ყოველთა აღმოსავლეთ ვიდრე დასავლეთამდეს ჩრდილოეთისა და ორისავე ტახტისა ქართლისა და ლუხთ ამერისა თვით მტკიცედ ფლობით მპყრობელმან ღ-თვ დამტკიცებულმან ღ-თვ ამაღლებულმან; ახოვანმან ჩვენ ღ-ვთ გვირგვინოსანმა დედამან ჩემმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე და თინა მემცხედრემან ჩემმან პატრონმან დედოფალმან თამარ მოვიდეს წინაშე ჩვენისა ჩვენი ერთგული სანიადაგოთ თავდებით ნამსახურნი და ჩვენისა მორჭმისათვის მოჭირნეი ჩვენი თავადნი ფალავანდისშვილნი სიომ, ბევაროზ, ზვიადი, ბეჟან, ჩიჟან, ფალავანდი, რუსი, მზეჭაბუკ, დავით და იოვანე, რათა გვექმნეს და ვიაჭენით, ვისმინეთ აქა და მოხსენება მათი, რათამცა შეგვიწყალნეს სიგელითა ამითი და მიგვებოძა მტკიცე და უქცეველი სიგელი ესე და შეგიწყალეთ და გიბოძეთ უკუნისამდის გასათავებელი და შეუცვალებელი, მას ჟამსა ოდეს მამაო თქვენი გაბელიძეს ამირანის ძმასა მოეკლა, ამაზედან ჩამოვედით შუა თავათ მე პატრონი მეფეთ-მეფე ალექსანდრე და პატრონი დადიანი, გურიელი გიორგი და ჩვენი წარჩინებულნი იმერელნი, ქართველნი და გურიელნი; დიდი საქმე იყო ფალავანდისშვილის და გაბელაძეს შუა. დაგვიდვა და მოგვეცა ჩვენთა საშემლებითა და მისითა ნდობითა, გუნებით მარტო მან ამირან ასე და ამა პირსა ზედან, რომ არა რომელ მისი გვარის კაცი იმა მოსაცემშიგან არ შეიყვანა

დეპეშები

16 მკათათვეს გერმანელთა ცეპელინები ინგლისის მარცხენა სანაპიროებს თავს დასტრიალებდნენ, ლანკაშირიდან იტყობინებიან, ყუმბარები ჩამოჰყარესო.

—

რადგანაც გერმანელების დაპყრობილ ქვეყნების მცხოვრები სურსათით უზრუნველყოფილნი არ არიან, ამერიკელ ელჩის შეკითხვაზე ლორდმა გრეიმ უპასუხა: თუ გერმანეთის და ავსტრიის მთავრობა დასთანხმდება და დაპყრობილ ქვეყნების: ბელგიის, პოლონეთის, სერბეთის, მთაშავეთის, სამხრეთ საფრანგეთის და ალბანეთის ყოველგვარ საკვებ მასალას ნეიტრალ სახელმწიფოთა კონტროლს დაუქვემდებარებს, თვითონ ადგილობრივ მკვიდრთა მოსახმარებლად, ინგლისი ნებას დართავს საჭირო სურსათი შეიტანონ, რათა ხალხი შიმშილით არ ამოსწყდეს. თუ არ დასთანხმდება, იძულებით ან და ნეიტრალ სახელმწიფოთა ზნეობრივ გავლენით აიძულებს გერმანეთს, რომ მშვიდობიან ხალხის სიცოცხლეს პატივი სცეს და განსაცდელი ააცილოს.

—

რუსეთის ასპარეზი. რუსის ჯარმა გადალახა მდ. სტოხოდი და გამაგრდა მდინარის მარცხენა ნაპირზე. კოველის მიმართულებით რუსეთის ჯარმა გაარღვია ბრძოლის ხაზი და წინ სვლას განაგრძობს. ბრუსილოვის არმიამ ტყვედ წამოიყვანა 631 აფიცერი და 32,000 ჯარისკაცი. ხელთ იგდო 114 ზარბაზანი, მათ შორის 29 მძიმე. გენ. ლეჩიცკიმ ხელთ იგდო 21 გერმანული ზარბაზანი, 85 ტყვიისმტყორცნელი. გენ. სახაროვმა სამი დღის განმავლობაში ტყვედ წამოიყვანა 216 აფიცერი და 13,600 ჯარისკაცი. ხელთ იგდო 9 ზარბაზანი, 40 ტყვიისმტყორცნელი, 15,000 თოფი.

—

დასავლეთის ასპარეზი. მაასის მარცხენა ნაპირზე „304“ სიმაღლის წინააღმდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ უშედეგოთ. ინგლისელებმა რამდენიმე ალაგას ოდნავ წინ წაიწიეს.

ინგლისის სანაპიროებს ცეპელინები დაეცნენ და 32 ყუმბარა ჩამოაგდეს.

—

კავკასიის ასპარეზი. ოსმალებმა ვიუშმიხანთან იერიში მოიტანეს, მაგრამ ქართველ მსროლელთა რაზმმა უკუაქცია და გაჰფანტა.

—

ჰოლანდიელის აზრი. გაზ: „ეკო ბელჟ.“-ში მოთავსებულია ერთი ჰოლანდიელის ნალაპარაკევი გერმანეთის შინაურ მდგომარეობის თაობაზე. ჰოლანდიელს სხვათა შორის უთქვამს: ქუჩებში ყველგან გამოკრულია განცხადება: „სიჩუმე!“ „ერიდეთ ლაპარაკს“. გერმანელმა ხალხმა უკვე შეიგნო, რომ ომი მილიტარისტთა პარტიის საქმეა, რომლის სულის ჩამდგმელიც კრონპრინცია. ხალხს კრონპრინცი არ უყვარს. ვილჰელმი კი ყველასაგან პატივცემულია. ხალხის აზრით, ვილჰელმი სამხედრო პარტიამ ჩაითრია ომში. მაგრამ „რაკი ბოთლი გაიხსნა, ღვინოს დალევა უნდაო“, რადგანაც საქმე გერმანეთის სახელმწიფოს დახსნას ეხება.

—

ხმა დადის, რუმინეთი მოკავშირეებს მიემხრობო. თანამდებობას თავს ანებებს გერმანელების მომხრე რუმინეთის მინისტრები. მთავარ შტაბის უფროსად ინიშნება ილიესკუ—მომხრე მოკავშირეებისა. მობილიზაციას მარიამობისთვეს აპირობენო.

—

ავსტრიელების შტაბი აცხადებს: მაგურიდან დავიხიეთო. რუსებმა კარპატების მწვერვალები დაიპყრეს.

—

ამბობენ, ვითომც მილიონერს ნობელს შეესყიდოს „ოილის“ ამხანაგობა, სადაც შედიან ლიანოზოვი, გუჩქოვი და „რუსკაია ნეფტი“. ფაქტიურად ნობელს ხელში ჩაუგდია სამი მეოთხედი ნავთის მრეწველობისა.

—

რუბენშტეინთან ერთად დააპატიმრეს გრაფ კ-ს მეუღლე. იგი პოლიციას ღიმილით შეჰხვედრია და უთქვამს: „ტყუილად აჩქარებულხართ, მალე მოხვალთ ბოდიშის მოსახდელადო“. უპოვეს მრავალი საიდუმლო საბუთები. ამბობენ: რუბენშტეინი და მისი მეუღლე ნახევარ მილიონის თავდებით გაანთავისუფლესო.

—

სამხედრო მინისტრად ყოფილ სუხომლინოვის საქმის გამოძიება მალე დასრულდება. მას ბრალად ედება სახელმწიფო ღალატი. ბოლო დროს ჩვენება ჩამოერთვა გუჩკოვს, სუხომლინოვის ადიუტანტს პოლკოვნიკ ბალაცელს და თ-დ ანდრონიკაშვილს.

—

სპეკულიანტების წინააღმდეგ საბრძოლველად განზრახულია გაიჩხრიკოს ყველა საწყობები რკინის გზისა, კერძო მესაკუთრისა, თუ ბანკებისა.

—

რიგასთან ბრძოლა დღითი-დღე მკაცრს ხასიათს ღებულობს. რუსის ცხენოსანი ჯარი მოწინააღმდეგის სანგრებს ზარბაზნებს უშენს. რუსების მოქმედებას ავდარი მეტის-მეტად ხელს უშლის. დღე და ღამე წვიმს. გერმანელებს რიგასთან ახალი ჯარი გადმოჰყავთ, რათა დვინის პოზიციები გაიმაგრონ. როგორც ტყვეები ამბობენ, გერმანეთის იმპერატორმა უბრძანა ჯარს: მხოლოდ დაჭერილი პოზიციები გაიმაგრეთ, წინსვლა აღარ მოგიხდებათ, რადგან ამ ახლო მომავალში ზავი ჩამოვარდებაო. რიგასთან ბრძოლა მხოლოდ დასაწყისია მომავალ დიდ ბრძოლებისა. ავდრების მიუხედავად აუარებელი ჰაეროპლანები და ცეპელინები მოქმედობენ.

ახალი ამბავი

◆ **უწ. სინოდმა დაადგინა:** ყოველ მარხვა დღის წინა ღამეს, აღების ღამეს, ყველიერის ღამეს და აგრეთვე კვირა დღეს ჯვარის წერა ნება დართულიაო.

◆ **საადგილ-მამულო კომისიის ახალი მდივანი.** თავად-აზნაურთა საკრებულომ დაამტკიცა საადგილ-მამულო კომისიის მიერ თავისს მდივნად ერთხმად არჩეული დ. ვ. ვაჩნაძე.

◆ **წიწამურში.** 29 მარიამობისთვეს 9 წელიწადი სრულდება, რაც საქართველოს საუკეთესო მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე ავაზაკებმა მოჰკლეს სოფ. წიწამურში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით ამ დღეს წიწამურში, იმ ადგილას, საცა ტრაგიკულად სული დალია გამოჩენილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, გადახდილ იქნება პანაშვიდი და დასდგამენ კვარცხლბეკს, რომელზედაც ამართულ იქნება ჯვარი.

◆ **კოოპერატივთა კავშირის თათბირი.** 17 ამა თვეს კრება ჰქონდა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საბჭოს, რომელმაც განიხილა კავშირის გამგებლების ვრცელი მოხსენება შესახებ კავშირის საწყობის დარბევისა. მოხსენებაში ნათლად არის დახატული სურათი საწყობის განადგურებისა. როგორც საბოლაოდ გამოირკვა, ზარალი იქნება 28—30 ათას მანეთამდის. საბჭომ ხანგრძლივ თათბირის შემდეგ დაადგინა: 1) შუამდგენლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ დახმარება აღმოუჩინოს კავშირს; 2) თხოვნით მიმართოს თბილისის ქალაქის თვითმართველობას და ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირს უპროცენტოდ ასესხოს კავშირს ფული; 3) მიმართოს კავშირის წევრებს თხოვნით, რომ თუ რომელიმე მათგანს შეძლება ნებას აძლევს, ასესხოს კავშირს ფული, ხოლო ვისაც საპაიო ფული ჯერ არ შემოუტანია, დააჩქაროს შემოტანა; 4) აღნიშნულმა ზომებმა თუ არ გასჭრა, წინადადება მიეცესთ კავშირის წევრებს მომხდარი ზარალი შეერთებულის ძალღონით დაჰფარონ, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქმნან რწმუნებულთა საგანგებო კრება.

შემდეგ საბჭომ დაადგინა, რომ ნიჟეგოროდის ბაზრობაზე (მაკარიაზე) არავინ გაგზავნოს, რადგან, როგორც საბჭოს გაუგია, ამ ბაზრობას წლეულს სიცოცხლე არ ეტყობა და კაცის გაგზავნით ხარჯის მეტს სარგებლობას ვერას ნახავს კავშირი. მოსამსახურეთა შტატის სიმცირე საბჭომ კი სცნა, მაგრამ ახალ მოსამსახურეთა მიღება ჯერ-ჯერობით გადასდვა, გარდა რამდენიმე კაცისა, რომელთა მიღება წარსულ კრებაზე იყო გადაწყვეტილი.

◆ **ფაშალიშვილის საღამო.** შაბათს, 23 მკათათვეს, ხარფუხის კლუბში გაიმართება საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი მიეცემა ახალგაზრდა მგოსანს ფაშალიშვილს სწავლის გასაგრძელებლად. საღამოში, რომელიც მრავალ-ფეროვანი იქნება, მონაწილეობას მიიღებენ: თითონ ფაშალიშვილი, მ. მედ-ბეგ აბაშიძე, კოკი აბაშიძე, ი. სალირაშვილი და სხ.

◆ **ქურხულის ლექცია.** პარასკევს, 22 ამა თვეს, ცნობილი მუსიკოსი ილიკო ქურხული ხარფუხის კლუბში წაიკითხავს ლექციას ეზოებში მოსიარულე მუსიკოსთა შესახებ.

◆ **ქართველ მოღვაწეთა პანთეონის** სასარგებლოდ დღემდე არის შემოსული წერა-კითხვის განმავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში 2.747 მან. 25 კაპ.

◆ **ინსტრუქტორის გადადგომა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო ბიუროს ინსტრუქტორმა ბ-ნმა კ. კანდელაკმა თანამდებობას თავი დაანება; ის დატოვებულ იქმნა ბიუროს კონსულტანტად.

◆ **ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობას ატყობინებს საზოგადოების ბათომის განყოფილება, რომ საზოგადოების სკოლაში ამ ჟამად 400 მოსწავლეა და ამდენივე მიღებულ იქნება მომავალ სექტემბერში. ბავშვებს ტანთ არ აცვიათ და ფეხთ და საერთოდ ქონებრივად დიდს გასაჭირს განიცდიანო. განყოფილება სთხოვს მთავარ გამგეობას, რომ ღონისძიება იხმაროს ბავშვების შესამოსად. ბავშვთათვის განყოფილებას დაუყონებლივ საჭიროდ მიაჩნია სამოსლის და ფეხსაცმელების შეძენა. სამოსლების დამზადება თბილისში თუ არ შეიძლება, მასალა ბათუმში უნდა გაიგზავნოს და იქ შეჰკერავენ.

◆ **ამინდი თბილისში.** უკანასკნელ დღეებში საღამობით თბილისში წვიმა მოდის, რის გამო ჰაერი ერთობ გაგრილდა და პაპანაქება სიცხე აღარავის უხუთავს სულს.

◆ **ხმები ბანკის განყოფილების შესახებ.** თბილისში ხმა გავრცელდა, რომ მოსკოვის სახალხო ბანკი თავის განყოფილებას აღებს თბილისში ამიერ კავკასიისათვის და ამ განყოფილების მართველად დანიშნულია ბ-ნი კ. კანდელაკიო. ამ საგნის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა ბ-ნ კანდელაკს, რომელმაც განუცხადა მას: ხმები მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ ნაადრევია; ამ საგნის შესახებ აღნიშნულ ბანკს ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ აქვს, მე აღნიშნულ ბანკის ინსტრუქტორად ვარ დანიშნული და არა წარმომადგენლად ანუ აგენტად. ვინაიდან ამიერ კავკასიის ბევრს კოოპერატივს კრედიტი აქვს მოპოვებული აღნიშნულ ბანკში და კიდევ ბევრი აპირობს კრედიტის მოპოვებას, ჩემი მოვალეობაა ერთნაირი საქმის წარმოება და ანგარიში შევასწავლო ამ დაწესებულებათ, რაიცა ერთობ საჭიროა, როგორც ბანკისათვის, ისე თვით კოოპერატივებისათვის.

დ. ახალ-სენაკი.

დრამატიულმა წრემ უკვე მიიწვია საზაფხულო სეზონისათვის როგორც ძველი ისე ახალი ადგილობრივი სცენის მოყვარეები. წრის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ექიმი ს. კეკელია.

— 20 ამ თვეს დანიშნულია ახალი თეატრის დარბაზის კურთხევა. ამ სადღესასწაულო დღისთვის დრამატიულმა წრემ მოიწვია დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია, რომლის მონაწილეობით აღნიშნულ დღეს წარმოდგენილი იქნება პირველად სენაკის სცენაზე ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“. პირველ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მარო მდივანი.

ს. კიკნა-ფშაველის და გ. ხერხეულიძის მკვლელობა

უკვე ყველას ელოდინება, რომ თიონეთში ამ რამდენიმე დღის წინად მოხდა საზარელი ამბავი: სტუდ. სიკო ბადურაშვილმა (მგოსანმა კიკნა-ფშაველმა) მოჰკლა სტუდ. გრიგოლ ხერხეულიძე და მერე თვითონაც თავი მოიკლაო. ამ მწარე ამბით შეწუხებულნი გამოუცნობ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რადგან ეს ორი ახალგაზრდა მოწაფეობის სკამიდან დაწყებული, უნივერსიტეტის უკანასკნელ სკამებამდე, ერთად იყვნენ, ერთად სცხოვრობდნენ და მათი ტკბილი მეგობრობა ყველასათვის საკვირველებას წარმოადგენდა. ახლა, როგორც ზოგიერთების ჩვენებებიდან დანამდვილებით გავიგეთ, საქმე ასე მომხდარა. მთელი ორი თვის განმავლობაში სიკო ბადურაშვილი უნივერსიტეტიდან ჩამოსვლისას სტუმრად ყოფილა გრ. ხერხეულიძესთან. შემდეგ საზაფხულოდ თვით სიკო ბადურაშვილთან წასულან დ. თიონეთში და ერთ თვეზე მეტია, იქა სცხოვრობდნენ. რა იყო მიზეზი და რა არა, არავინ იცის, მხოლოდ იმ დღეს გამწვავებული კამათი მოსვლიათ (თურმე პარტიულ ნიადაგზე. კამათი ხშირათ მოსდიოდათ) და ხერხეულიძეს წამოსვლა დაუპირებია: შეუკრავს ყოველივე თავისი და კიბეზე როდესაც ჩამოდიოდა, უკანიდან დასწევია ბადურაშვილი, რომელსაც ამხანეგისათვის თავში ცული დაურტყამს, ხოლო თვითონ სახლში შებრუნებულა და თავისი თავისათვის თოფი უსროლია. ხერხეულიძე იმ წამსვე მომკვდარა, ხოლო თვით ბადურაშვილს რამდენიმე წამს უცოცხლია; უთქვამს: „მე ვკვდები, ძირს გოგო გდია და ცოცხალი არ გაუშვათო;— საწერ-კალამი მომეცით, რამეს დავსწეროო.“ სანამ ამას აასრულებდნენ, იგიც გარდაცვლილა.

ყოველივე ეს გვიამბო თვით ბადურაშვილის რძალმა (ძმის ცოლმა). გარდა ამისა თვით ხალხში პატარა მითქმა მოთქმაა, ვითომც, რაკი გრ. ხერხეულიძეს იქიდან წამოსვლა საჭიროდ უცვნია და წამოსულა კიდეც, მაგრამ ბადურაშვილმა, ალბად, თავის შერცხვენას და ხერხეულიძის მშობლების პატივისცემის შელახვას ველარ გაუძლო და თავი მოიკლაო. ამბობენ, ვითომც თოფის ხმაზე განოვარდნილა ბადურაშვილის ძმა, რომელსაც ხერხეულიძე, როგორც მიზეზი ძმის მკვლელობისა, ცულით მოუკლავსო. რამდენად მართალია ეს ორივე ცნობა, დამტკიცება არავის შეუძლიან; ცხადია ის, რომ ბადურაშვილი თოფით და ხერხეულიძე ცულის ყუით არიან მკვდრები; ეს ამბავი კი შუაღამისას მომხდარა.

ამ რიგად ეს ორი ერთი-მეორის უაღრესად მოყვარული ახალგაზრდა ამხანაგები [illegible] ბიან და [illegible] რჩება ის, რომ სინამდვილე [illegible] ვინ იცის იქნებ ხერხეულიძე არ არის მკვდარი ბადურაშვილისაგან, რომელსაც თვით მისი სოფლის შვილნი და სხვანიც წყევლით იხსენიებენ. აი, ამას უნდა გამოკვლევა, რომ ბოლოს სანანურად არ დაგვრჩეს.

ეს კია, რომ ორივე ახალგაზრდა ჩვენი თაობისათვის საჭირონი იყვნენ, როგორც მწერლობის ისე თეატრალურ დარგში: ბადურაშვილი ცნობილია **კიკნა-ფშაველის** ფსევდონიმით, ხოლო ხერხეულიძე თანამშრომლობდა ყოფილ „სინათლეში“ და ახლანდელ „თან. აზრ.“—**თავისი გვარით, ანჩხლისა და ნათესავის ფსევდონიმებით.**

„ახალი კლუბის“ წევრთა საგანგებო კრება

17 მკათათვე.

დღის $12^{1}/_{2}$ საათზე კლუბის საზამთრო დარბაზში თავი მოიყარა 84-მა წევრმა. მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარემ თავ. მ. დ. ჭავჭავაძემ სთხოვა კრებას თავმჯდომარე აერჩია. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პ. ა. გოთუა, ხოლო მდივნად ბ-ნი შ. ქართველიშვილი.

კრებას მოხსენდა კლუბის შემოსავალ-გასავლის ანგარიში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1 მკათათვემდე და აგრეთვე ბალანსი კლუბისა მიმდინარე წლის 1 მკათათვემდე. როგორც ანგარიშიდან სჩანს, აღნიშნულ დროს განმავლობაში შემოსავალი ჰქონია კლუბს 103.390 მან. 84 კაპ., ხოლო ხარჯი 67,855 მან. 82 კ., წმინდა მოგება დარჩენილა 35,535 მან. 02 კაპ., ბალანსი კლუბისა უდრის 1112,291 მან. 20 კაპ.

აღნიშნული ანგარიში მხედველობაში მიიღო კრებამ.

შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) ანგარიშიდან ამოიწეროს სახალხო სახლზე ვალად დარჩენილი 170 მან.; 2) თანახმად წლიურ კრების დადგენილებისა ზარალში ჩაიწეროს 3,334 მან. 54 კაპ., რომელიც სხვა და სხვა პირებზე ითვლებოდა ვალად კლუბიდან გვიან გასვლისათვის, რადგან ეს უიმედო ვალია; 3) შეწყნარებულ იქმნას მამასახლისთა საბჭოს წინადადება შესახებ 11,300 მანეთის გადადებისა სიძვირის გამო გამოწვეულ ზედმეტ ხარჯების დასაფარავად წარმოდგენებისა და კონცერტების გასამართავად და განათებისა, გათბობისა და სტამბის ხარჯების გასაძლოლად; 4) რადგან ბუფეტის ეხლანდელ მოიჯარადრეებთან ხელშეკრულობა დარღვეულად ითვლება, ახალ მოიჯარადრეების გამონახვა და მათთან მორიგება საბჭოს დაევალა.

ხანგრძლივ ცხარე კამათი გამოიწვია მამასახლისთა საბჭოს გარშემო შექმნილმა პირობება. **ბ-ნი პ. გედევანიშვილი** შეეკითხა პრეზიდიუმს, რა მიზეზია, რომ ზოგიერთი მამასახლისები არ ესწრებიან მამასახლისთა საბჭოს კრებებსო? ამის შესახებ მამასახ-

---

ამირან ესე ჩვენ მოზავებულთა დავგვიდვა და მოგვცა მკვიდრად და მოუსარჩლელად მარტომან ამირან **ოქონას მონასტერი და სოფელი** ეკლესიებითა გლეხებითა საფუძვალითა და სასახლითა, ველითა, ვენახითა, მთითა, სანადიროთი, ბარითა, სახნავითა, მინდვრითა, სათიბითა ჭალასასახლითა, წყლითა, საწისქვილოთა და მისით სანაპიროთა, მისითა შესავლითა და გასავლითა, მისითა სამძღვრითა და ყოველით ურთ ერთობლითა და გვიბოძებია და შეგიწყალეთ მტკიცე და მოუშლელი შეუცვალებლად ჩვენ პატრონმან მეფეთ-მეფემან ღ-თვ გვირგვინოსანმან ალექსანდრე და პატრონმან დედოფალთ-დედოფალმან დედამან ჩვენმან ელენე და თანამემცხედრემან ჩვენმან პატრონმან დედოფალმან თამარ თქვენ ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ჩვენსა მარჭმის მოჭირნესა თავადთა ფალავანდიშვილთა სიასაშს, ბევარს, ზვიადსა, ბეჟანას, ჩიჯანს, ფალავანდსა, რუსიას, მზეჭაბუას, დავითს და ივანეს შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა ოდეს გაბელიძესა ამირანის ძმასა მამა თქვენი მოეკლა და სხვა ავიცა საქმე დიადი მოეხდინა თქვენზედან, ჩამოვედით საშუალად მე ბატონი მეფე ალექსანდრე და პატრონი დადიანი, გურიელი გიორგი და ჩვენნი დარბაისელნი იმერელნი და ქართველნი და დაგიდვა მარტომან ამირან-არა რომელ მისი გვარის კაცი—არა მიიყვანა მისი-რა გვარის კაცთა სასამართლოდ და დავა, როცა მართალმან სამართალმან გაგიჩინოს ფალავანდიშვილსა, ისე დაგიურვოს სისხლი მე მარტოსა ამირანს ჩემად კერძოდ მამიცემია მკვიდრად და მოუსარჩლელად ყოვლისა კაცისაგან. კვლავ მე მეფეთ მეფესა ალექსანდრეს მიბოძებია **ოქონა ნასისხლად** მოცემული მარტო ამირანისაგან მონასტერი და სოფელი სხვითა ეკლესიებითა, გლეხნი მისითა საფუძვლითა და სასახლითა, მთა მისითა სანადიროთა, ბარი მისითა სახნავითა, მინდორი მისითა სათივითა, ჭალა მისითა სასარითა და საჭერითა, წყალი მისითა საწისქვილითა და სანადიროთ შესავლითა და გამოსავლითა, მისითა ერთობით სამძღვრით ყოველით ერთ უკლებლათა და უცილებლად და მოუსარჩლელად ყოვლის ადამიანისა კაცისაგან ვითა ზემოთ დაგვიწერია ოქონა მისითა ერთობითა გქონდეს ფალავანდიშვილთა ნასისხლათ, არავის, გვიბრძანებია, ამ ჩვენგან გაწერილსა შლა და ქცევა არას ჟამსა ცვლისა და შემოსულობისათვის, არა ჩვენგან—და და არა შემდგომად—ჩვენ სხვათა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან, და თქვენ წმინდაო დიდო მთავარნო ქრისტეს მიერ კურთხეულნო აფხაზეთისაო და ქართლისა ქათალიკოზნო უჯვარობით დაგვიმტკიცეთ, სხვანი კარისა ჩვენსა წარჩინებულნი, ციხის თავნო, მოლარეთ უხუცესო და მოლარენო, მოაბჯრეთ უხუცესნო და მოაბჯრენო, მეჯინიბეთ უხუცესნო და მეჯინიბენო, მოურავნო და ხელის უფალნო, ტბილისა და ხარჯის მკრეფელნო, მზარეულნო ძროხა საკლავის მკრეფელნო და სხვანო ყოველნო კარისა ჩვენისა მოხელენო და წარჩინებულნო ნუ ვინ იკადრებთ ბრძანებულსა ამას ჩვენსა შლასა და ქცევასა, თქვენცა ნება დართეთ ჩვენგან დამტკიცებულსა ამას სიგელსა ამისნი მოწამენი არიან და შუა დამხდურნი არიან პატრონი დადიანი, გურიელი გიორგი, ქუთათული მთავარ ეპისკოპოზი ბართლომე, ჭილაძე ლიპარი—რაჭის ერისთავი, ჩხეტიძე ივანე და მისი ძმა კახაბერი და აბესალომი, ჩილვაძე საზვერელი და ვამიყ ციხის თავი, ლოლობერიძე ესტატე, ჩხეტიძე ამილახვარი, სანასარ მოლარეთ უხუცესი, მხეტიძე სარგის სახლის უხუცესი, აფხაჭელიძე ივანე, ინასარიძე აესალომ, გურიელნი ბერიძე, მაჭუტაძე და მაზაძე, ლაშრიაშვილი ზაზაი, კუჭეჭიძე სიანშე, ჯაფარიძე შანშე და ქველია. საწოლის მწიგნობარნი არაშიძე შიოშ, გარაყანიძე ხელა, ჩხეტიძენი ვახტანგ და აბესალომ, აბაშიძე თაყა და აბაში, წერეთელი განონაი, ქავთარაძე როსტევან, მიქელაძე ყელგრძელ, დიდებულ ზვიადი, იაშვილი ბეჟან და სრულიად დარბაისელნი იმერელნი დიდნი და ცოტანი ამისნი მოწამენი თავდებნი და შუა დამხდომნი არიან. დაიწერა სიგელი ბრძანება ესე ჩვენი ინდიკტიონისა მეფობისა ჩვენისასა სამსა, ქრონს როფ (1488 წ.) თვესა ივლისისა ა ქუთათის დღესა ორშაბათსა. დედოფალთ-დედოფალი ელენე“ (ბეჭ.)

ამ სიგელს სხვათა შორის უნდა შევნიშნო, რომ მეფე ალექსანდრე II გამეფდა 1485 წ. ჩვენი მატიანენი კი ამბობენ, რომ მეფე ალექსანდრე II გამეფდაო 1478 წელსა და ალექსანდრეს გაუდგნენ დადიანი, გურიელი და შერვაშიძეო, თუ გადგომილები ყოფილიყვნენ, ამ სიგელის ძალით დაუმტკიცებდნენ.

ოქონას მაშინ დიდი ადგილი სჭერია. დროთა ვითარების შემდეგ ოქონის ადგილებში ჩაასახლეს ოსები და ორი სოფელი გაშენდა სხლითი და გიორგიწმინდა (ძველი ნასოფლარი სხლითი ოქონის ფარგალში შედიოდა) სხლითმა დაიკავა 422 დეს. ადგილი და გიორგი წმიდამ—385 დეს. ოქონას დარჩა—644 დეს. მამული.

მცხოვრებნი ითვლება სხლითში 37 კომლი ოსი, (თუმცა სახალხო ფურცელში ნაჩვენები მქონდა ხიზნების გამოკვლევის დროს 47 კომლი, ეს შეცდომაა, ეხლაც ოფიციალურად ნაჩვენებია 25 კომლი, ეს სწორედ არაა). გიორგიწმინდაში 21 კომლი ოსი და ორი კომლი ქართველია (ოფიციალურად ნაჩვენებია 20 კომლი). ოქონაში კი (ვაკე ოქონაც აქ შედის) 50 კომლი გლეხი ითვლება, 9 აზნაური და 2 კომლი თავადი.

დღეს ოქონის მამულს შემდეგის სახით ფლობელობენ: თ-დ ფალავანდიშვილებს უჭირავთ 148 დეს. სახნავი და ტყე 28 დეს.

აზნაურიშვილებს ლაშხებს, ხიმშიაშვილებს და წერეთელს 69 დეს. 215 კ. ს. სახნავი და 54 დეს. ტყეც.

დროებით ვალდებულ გლეხებს ნადელით უჭირავთ 188 დესეტინა, 1170 კვად. საჟ. და საკუთრივაც უჭირავთ 105 დ. 700 კვ. საჟ. სახნავი და ტყეც ახლად შეიძინეს—23 დეს. ამ სახნავ მამულში სხვა სოფლის გლეხებს ეკუთვნით—30 დესეტ. ეკლესიას და სასაფლაოს—2160 კ. ს. და სოფლის გზებს—და სხვ.—16 დეს. 830 კ. საჟ.

და ამ მამულის დაყოფის შემდეგ, სოფელში დიდი უთანხმოება იბადება, საერთო სარგებლობა საძოვრისა და სხვ. ისპობა, გადასახადები მატულობენ, გლეხი ვიწროვდება, ერთი ბატონის მაგიერ ათი, ოცი უჩნდება.

და აი ამ პირობების თავიდან ასაცდენად, ამ ბოლო დროს შეიგნეს მამულის შეძენა და მამულის ფასმაც ერთი ოთხათ იმატა.

მთელი ოქონის მამული თ-დ ფალავანდიშვილებს ეჭირათ და დროთა ვითარების შემდეგ ნაწილ-ნაწილად გადადიოდა აზნაურობაზედ და გლეხობაზედ, დღეს თითქმის 120 დეს. სახნავი აღარც კი იქნება მათ ხელში, ტყე მხოლოდ, რაც ზევითა მაქვს ნაჩვენები 28 დეს. მეტი აღარაფერია მათ ხელში. სახნავი თუმცა ნაჩვენები მაქვს 148 დეს. ეს გამოკვლევა ამ ორის წლის წინეთ მქონდა, და ორის წლის განმავლობაშიაც გლეხებზედ გადავიდა სახნავი მამულები.

—

სხვათა შორის მინდა მოვიხსენიო სოფ. ოქონაში მცხოვრებნი დროებითვალდებულნი გლეხნი დვალიშვილები.

ვინ იყვნენ ესენი და საიდან მოვიდნენ, ვკითხულობთ ერთ საქმეში, რომელიც სწარმოებდა გორის მაზრის სასამართლოში 1827 წელსა.

თ-დ ზურაბ ერისთავის აზნაურს სიამაშვილს სოფ. სვერში მიუყიდნია ოსმალოებისათვის 1780 წლებში მამუკა დვალიშვილი. ერთი წლის შემდეგ გამოექცა ოსმალოებს და სახლთ-უხუცესს პაპუნა წერეთელს შეეკედლა. მან დაასახლა სოფ. ქომოხევში.

შემდეგ, როდესაც შიმშილობა ჩამოვარდა იმერეთში, პაპუნა წერეთელმა ნება მისცა დვალიშვილს, გადასახლებულიყო ქართლში.

დვალიშვილი დიმიტრი ბერისძე ფალავანდისშვილს შეეხიზნა, პირველად რამდენიმე წელიწადი ხიზნად დარჩა, შემდეგ ეყმო.

ზურაბ ერისთავი იმერეთშიც და ქართლშიც დიდი მამულის პატრონი იყო და დვალიშვილებიც მათ ეკუთვნოდა.

თ-დ ელიზბარ ზურაბის ძე ერისთავმა დავა დაუწყო დიმიტრი ბერის ძე ფალავანდიშვილს, რომ დავითაშვილების მას ეკუთვნოდა. სასამართლომ ფალავანდიშვილის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

პირველად 1790 წლებში ერთი კომლი დვალი გადმოსახლდა ოქონაში, მისი ჩამომავალნი 12 კომლს აღემატებოდა 1880 წლებში, დღეს გადაშენების გზას ადგია და ხუთი კომლიღა სცხოვრობს.

(დასასრული იქნება)

ლისმა ბ-ნმა ვ. ღამბაშიძემ განაცხადა დაახლოვებით შემდეგი: კრებებზე მიტომ არ დავდიართ, რომ საბჭოს თავმჯდომარედ თავ. მ. ჭავჭავაძე კანონიერად არ იყო არჩეული, ის უზურპატია და მასთან მუშაობა შეუძლებლად მიგვაჩნია. აქამდინ უნდა გადავმდგარიყავი თანამდებობიდან, მაგრამ რადგან მე საზოგადოებისაგან ვარ არჩეული, საჭიროდ მივიჩნიე ეს ამბავი საზოგადო კრებისათვის მომეხსენებია. თავ. მ. ჭავჭავაძემ ამის გამო განაცხადა, რომ ამ საგნის შესახებ ყოველივე ცნობები საბჭოს ოქმებშია აღნიშნული და წაიკითხეთ ეს ოქმები და შესაფერისი მსჯავრი დასდეთო.

ოქმებიდან აღმოჩნდა, რომ საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნების დროს საბჭოს თავმჯდომარედ დასახელებული ყოფილა თავ. დ. ჭავჭავაძე და თავ. ი. აფხაზი. ფარულის კენჭის ყრით ხუთ-ხუთი ხმა ამოსვლია თითოეულს მათგანს, ხოლო 1 ხმა ამოსვლია თ-დ მაყაშვილს. თავ. აფხაზს თავისი ხმა აშკარად გადაუცია თავ. ჭავჭავაძისათვის და ამ რიგად 11 ხმიდან თავ. ჭავჭავაძეს ამოსვლია 6 ხმა. ეს არჩევანი მაშინ ყველა მამასახლისს კანონიერად უცვნია, პროტესტი არავის არ განუცხადებია და ოქმზე სხვა მამასახლისთა შორის ბ-ნ ვ. ღამბაშიძესაც უწერია ხელი,

კრებამ ჭავჭავაძის არჩევა სრულიად კანონიერად სცნა და ნდობა გამოუცხადა მას. ბ-ნმა ვ. ღამბაშიძემ განაცხადა, რომ თანამდებობას ვტოვებო.

შემდეგ კრებამ მოისმინა კლუბის მოსამსახურეებად ნამყოფების თხოვნა შესახებ იმისა, რომ ისევ მიიღონ ისინი სამსახურში. როგორც ვიცით, აღნიშნული მოსამსახურეები მამასახლისთა საბჭომ დაითხოვა სამსახურიდან ულტიმატიური მოთხვნილებისათვის. აღმოჩნდა, რომ ამ მოსამსახურეებს საჩივარი მიურთმევიათ კლუბის ადმინისტრაციაზე კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსისათვის. კრებამ, მოისმინა-რა ამ საგნის შესახებ განმარტება მამასახლისთა საბჭოსი, საბჭოს მოქმედება კანონიერად და სამართლიანად სცნა და საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა საბჭოსვე მიანდო, მხოლოდ სთხოვა რომ ზოგიერთ მოსამსახურეთ ლმობიერად მოექცეს და თუ საჭიროდ სცნობს, ისევ მიიღოს სამსახურში.

სამ საათზე კრება შეწყდა და განახლდა საღამოს 9 საათზე, როცა არჩეულ იქმნა კლუბში მუდმივ მოსიარულედ 135 კაცი. კრებამ მადლობა გამოუცხადა კრების თავმჯდომარეს პ. გოთუას და მდივანს შ. ქართველიშვილს და $11\frac{1}{2}$ საათზე დაიშალა.

კიზიყს სიმშილი მოელის

10 მკათათვეს სიღნაღის ახალ კლუბის საზაფხულო დარბაზში, კ. ტყავაძის თაოსნობით, სიღნაღის მაზრის უფროსის ბ-ნ მარტინსონის მოწვევით და თავმჯდომარეობით შესდგა კრება მთელი მაზრის ქალაქის, სოფლების და კოოპერატივების წარმომადგენლობისა, რომელზედაც გამოირკვა შემდეგი: 1) მთელს სიღნაღის მაზრაში, მხოლოდ ალაზანს გაღმა მოვიდა საშუალო მოსავალი. 2) ქიზიყს თავისი წლის მოსავალი გამოჰკვებს ორ თვემდის, 3) საჭიროა დახმარება, როგორც სათესლის, აგრეთვე საზრდოს მიწოდებით. 4) სათესლეც და საზრდოც უნდა დაურიგდეს კოოპერატივების შემწეობით. 5) სამაზრო სასურსათო კომიტეტში უნდა მოწვეულ იქმნეს ოთხი კოოპერატივის წარმომადგენელნი გადამწყვეტი ხმით. 6) კომიტეტმა უნდა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ სათესლე და საზრდო თავის დროზე მოაწოდოს სამაზრო კომიტეტს, რომელიც როგორც ზევითაც მოვიხსენიე კოოპერატივების შემწეობით დაურიგებს ხალხს. 7) ფულს გამოიღებენ კოოპერატივები. სამაზრო კომიტეტი იშუამდგომლებს დაეხმაროს 150,000 მან, ეგრედ წოდებულ „მაღაზიის ფულით“. გარდა ამისა კრების თხოვნით მაზრის უფროსმა თხოვნით მიჰმართა ბ-ნ თბილისის გუბერნატორს, რათა ახლად გაწვეულ 1 და 2 ხარისხის მოლაშქრე რატნიკები არ გაგზავნონ თელავში, არამედ შეამოწმონ ქ. სიღნაღშივე.

მაზრის კოოპერატივების დამსწრე წარმომადგენლებმა სამაზრო სასურსათო კომიტეტში თვის წარმომადგენლად ამოირჩიეს გურჯაანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობიდან მღ. ციბალაშვილი, ვაქირისა—მღ. ცინცაძე, ბოდბის ხევის—გიგო ნაცვლიშვილი და სიღნაღისა კოტე ტყავაძე.

ამავე კრებამ გადასწყვიტა 20 მკათათვეს მოიწვიოს მაზრის კოოპერატივების წარმომადგენლები, რომლებმაც დაწვრილებით უნდა შეიმუშაონ საერთო სამოქმედო საოპერაციო გეგმა.

საჭიროა, რაც შეიძლება მალე იყოს ყოველგვარი ზომები მიღებული, რომ ქიზიყი, ეს კახეთის მასაზრდოებელი, თვითონ არ დარჩეს დამშეული.

დამსწრე.

გზა და გზა

(შემდეგი)

წარმართულ თქმულების გმირის სახელს ქრისტიანული თქმულება სრულებით ივიწყებს. ამ თქმულების თანახმად ხოროსანში ტყვეებს საშინელ ტანჯვას აყენებენ. მეფის ასული სთხოვს მამას შეიწყნაროს ტყვეები. მიზეზად ცუდს სიზმრებს ასახელებს. მაგრამ მეფე ცინიკურად იცინის. ბრძანებას გასცემს, ტყვეებს გამოსტაცებს ხატებს, საკირეში ჩააყრევინებს, მაგრამ დაჰხედეთ! საკირედან ჯვარი ამოფრინდება, ნიშა ხარს თავზე დაადგება. მტერი შეიმუსრება. ხარი სიარულს მოჰყვება. ტყვეები უკან გაჰყვებიან და მივლენ სამშობლოში. ხარი მწვერვალზე შეჩერდება და აქ დასვენებულს ჯვრის ადგილზე ააგებენ ტაძარს...

ასეა თუ ისე, ლომისა უძველესი დღესასწაულია და გაცილებით ნაადრევი, ვიდრე ქრისტიანობა. მან ბოლოს ზევსეს ადგილი დაიჭირა. იგი მთიელთათვის ყოველისფერია. ლომისამ გამოაწრთო მათი გონება და ყვავილოვანი მათი ფანტაზია მრავალფეროვანად გადაჰფურჩქნა. მთა შვილს არა ჰნათლავს, ვიდრე ლომისას არ ულოცებს. მისი დღეობა მთელი მთისთვის უაღრესია, ვიდრე რომელიმე აღდგომა. სული წმ. მოფენის მესამე დღეს აქეთ მოედინება მთელი მთა. დროშათა ფრიალი პრიმიტიულის სახით მხოლოდ აქ იწყებს ფრიალს, აქვე იმართება არ ნახული მსხვერპლის შეწირვა. ათასობით კრავის სისხლი მოსჩუხჩუხებს. მსხვერპლის შეწირვას ასრულებენ დეკანოზები. მათ ქრისტიან მღვდლებთან საერთო არა აქვთ რა. ესენი გახლავან, თუ გნებავთ, უძველეს დროის, წარმართობის ხნის ნაშთნი, ქურუმთა მოადგილენი. ლომისა სიმბოლოა წარმართულ კულტის სიძლიერის და უაღრესობის. უეჭველია, თქმულებას რეალი საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომ არა თუ ლომისას უმთავრესი ტაძარი, თვით მისი ასე ვსთქვათ ერთგვარი შტატები ფშავში, ხევსურეთში ლაშარის წმიდა გიორგის სახელით ცნობილი თუ ათასი სხვა რამ ნიში ძველ წარმართთა კერპების ადგილზეა აგებული. დამარხულ ღმერთთა ფერფლზე დაემყნო ზერელედ ქრისტიანული კულტი, მაგრამ სული ისევ ძველი დარჩა, გარეგანმა სამოსელმა ვერ ჩააქრო იგი. ვინაა ღვთისმშობელი, ქრისტე? თუ რამ ძალა აქვს ისევ ლომისას. მთიელი რომელი ხევისაც უნდა იყოს თავის-თავს ლომისას ყმად აცხადებს. შეხვედრილს არ შეიძლება ჰკითხო, „სადაური ხარო?“. არა, „შენ ვისი ყმა ხარ?“ და პასუხსაც მიიღებ შესაფერს; ამა თუ იმ ხევის ლომისასიო! ასეთ „ყმათა“ წინამძღოლი ეს დეკანოზებია. ჩვენს მღვდლებს მათთან შედარებით მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირიათ. თვით დღესასწაულის დღეს ერთგვარი მისტერია ხდება. წარმართობა მთელი თვისი დიდებით ამ დროს იჩენს ხოლმე თავს. დეკანოზები მსხვერპლის შეწირვის დროს ჯვარს გამოასვენებენ. ხალხი იჩოქებს. ამ დროს გაისმის დეკანოზთა გალობის ხმა. მლოცველთა შორის ღრმა სიჩუმე ჩამოვარდება. მოწიწებული ღაღადისი დეკანოზების უცნაურ ლეგენდის ნაწყვეტს შეიცავს. ნაწყვეტი საგალობელი ლექსითაა ნათქვამი და მარტივი დითირამბით წარმოითქმების.

აი ესეც:

„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის ვისია;
მოვიდა, ქალმან შესწირა
ეს ჯაჭვი ჩემი ძმისია,
შეეთით გამოტანილი
შავგვრემანაანთ ყმისია.
დეეხსენ ჟანგმან შესჭამოს—
იქნება მისი ღირსია!“

ასე ჰგალობენ წართქმით დეკანოზები. მლოცველნი მასში ჰხედავენ რაღაცა ღვთაებრივს. მისტერია მსხვერპლის შეწირვის უმალ დასრულებულად ითვლება და შემდეგ იმართება ლხინი და ასპარეზობა.

არა, საყვარელია მთა, ეს ჭაბუკი და მოუღალავი არწივისული მთელი თავისი გულუბრყვილობით, სიხარულით თუ გამოუთქმელის სევდით, რომელსაც მხოლოდ კავკასიონის ქედი თუ ისმენს, როგორც მიჯაჭვულ ამირანის გულმკერდის ბორგვას. მეჭმუნვარე მარაოდ გაშლილს კაეშანის ღრუბლები შემოსწოლია სპეტაკს შუბლზე განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის რკინის კარს წერაქვი დაჰსცხეს, თავზე ჩაფხუტი ჩამოახიეს და სალი ზღუდე, ცის გალავანი გაურღვიეს. მიუხედავად ამისა სული მისი მტკიცეა. მთა აღმოხეთქილი პროტესტია ყოველგვარი ძალდატანების და იძულების, მას ჰსურს იცოცხლოს თავის ძველ ღმერთებთან ერთად, ძველის ტრადიციებით, ძველის წესრიგით. დაუღალავი მისი ოცნება მხოლოდ მომიჯნე ვარსკვლავებს ესაუბრება, მხოლოდ მას ანდობს თავის ფიქრს, ზრახვას, თავის კაეშანს და სიხარულს. მათ მიერ გაგულისებული ათას ზღაპრებსა, სწავლობს, აღმოსთქვამს ლეგენდებს და კი ვერ ამჩნევს, რომ მთხზველი თვითვე ცოცხალ ლეგენდად იქსოვების, როგორც საასპარეზოდ გამოსულ ჰომიროსის გმირთა თქმულება.

არა, ნახევით მთა, გაეხვიეთ მის კალთებში. იგი სინაზისა, სიკეკლუცისა, ამპარტავნების, სილაღისა და ბუმბერაზობის სურნელი ყვავილი გახლავთ, რომელიც დიდიხანია ეზმანება თქვენს მოქანცულს ფანტაზიას, როგორც თრობილს მოტრფიალე შეყვარებულს ფუტკარს ცაცხვის კურთხეული ყვავილები.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

მაჰმადიანთა ცხოვრებიდამ.

თბილისში განზრახული იყო სამაჰმადიანო სემინარიის დაარსება, რომლის პროგრამა უნდა შემუშავებია მეფის მოადგილის მიერ განსაკუთრებულად მოწვეულ კომისიას.

ახლა თერგის ოლქის უფროსს აღუძრავს საკითხი, ასეთივე სემინარია საჭიროა გაიხსნას ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანთათვის, კავკავშიო. თერგის ოლქის უფროსს განსაკუთრებული მოხსენება წარუდგენია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომელშიაც აღნიშნავს რა მაჰმადიან მცხოვრებთა ხელმოკლეობას, საჭიროდ სთვლის სემინარიის ხარჯი ითავოს ხაზინამ; ამავე დროს აღნიშნავს რომ მიუხედავად სიღარიბისა მაჰმადიანნი მცხოვრებნი მზად არიან გაიღონ თავისი წვლილი, კერძოთ სტიპენდიების დაარსებითო.

თერგის ოლქის უფროსი დასძენს რომ აუცილებლად საჭიროა ცალკე მაჰმადიანური სემინარია, კავკავში, რადგან თბილისის სემინარია მეტად შორს იქმნება ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანთათვისო.

ვგონებ რომ პატივცემული მოხელე ამეტებს თავის პესიმისტურ დასკვნაში: თბილისი ბუნებრივი კულტურული შუაგულია მთელი კავკასიისათვის და კიდევაც რომ ცალკე სემინარია დაარსდეს კავკავში—ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანობა მაინც თბილისის სემინარიას მიეტანება.

მაშ სჯობს ერთი სემინარია მოეწყოს და მთელი ქონებრივი და სულიერი ძალღონე რომელიც ამიერ და იმიერ მაჰმადიანობას შეწევს, მოხმარდეს თბილისის სემინარიას.

გურჯი.

წერილი რედ. მიმართ

ბათომის ქართულ ეკლესიის სააღმშენებლო კომიტეტმა მიიღო ამ დღეებში ცნობილ ქველმოქმედის აკაკი მეთოდის ძე ხოშტარიასაგან ხსენებული ეკლესიის (შენობის) დასამთავრებლად ექვსი ათასი მანეთი. კომიტეტი სთვლის სასიამოვნო მოვალეობად გამოუცხადოს ულრმესი მადლობა პატივცემულ აკაკი მეთოდის ძეს ამ უხვის შემოწირულებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარე
გრ. ელიავა.

მცირე შესწორება

„საქართველოს“ 143 №-ში სწერია: რედაქციამ მიიღო 14 მან. და 80 კაპ. ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის ექ. მ. იზხნელისაგან შეგროვილი ჩრდილო-დასავლეთ ასპარეზზე ქართველ ჯარის კაცთა შორისო. საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო რომ მე არ შემიგროვებია. ამას ვამბობ ჯერ ეს ერთი იმიტომ რომ სხვის გაკეთებული საქმე მე არ მინდა მივითვისო. მეორეც იმიტომ რომ მე გამბედაობა არ მეყოფოდა მიმემართა წვლილის გამოსაღებად, თუნდაც ასეთ კეთილ საქმისთვის, იმ ჯარის კაცებისთვის რომელნიც თვეში მხოლოდ 14 შაურს იღებენ. ფულის შეგროვების ინიციატივა ვის ეკუთვნის არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი რომ შემომწირველთა სია მწერალმა მერაბიშვილმა გამოგზავნა. ფული მჭედლიშვილმა გადმომცა და მთხოვა გაგზავნა. (მე გადმომცა იმიტომ რომ ჯარის კაცებს არ შეუძლიანთ, უფლება არ აქვთ, ფული გადმოგზავნონ).

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ, რომ ამ წინაზე გამოგზავნილი 6 მან. მგოსნის იროდიონ ევდოშვილის ოჯახობისთვის მჭედლიშვილის შეგროვილია.

პატივისცემით **მ. იზხნელი.**

თეატრი

ხარფუხის კლუბი.

სამშაბათს, 19 მკათათვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში მუსულმანთა ენაზედ გაიმართება ოპერეტა. შესვლა უფასოა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27 დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58 „ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
თელავიდან		№ 3,	. 7 „ 58 „ საღ.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russepour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

თუ გსურთ, მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

◆◆ **ხელმისაწვდენ ფასებში** ◆◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Тифлисъ** почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзв.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

კოოპერატიული გამომცემელთა ამხანაგობა
„განახლება“
შეუდგა ქართულ კედლის კალენდრის ბეჭდვას 1917 წლ.

შედგენილი გრ. ჩ რკვიანის მიერ.

ამხანაგობა სთხოვს კოოპერატიულ საზოგადოებებს მოაწოდეს შემდეგი ცნობები: 1) დრო დაარსებისა, 2) რა თანხით დაიწყეს ვაჭრობა 3) რიცხვი წევრთა და 4) ვისგან შესდგებოდა გამგეობა წარსულში და აწმყოში. **ახალგაზდა მგოსნებს** ვთხოვთ გამოგვიგზავნონ მოკლე ლექსები კალენდრის ფურცლის მეორე გვერდზე მოსათავსებლად. ვთხოვთ გვაცნობონ ვის რავდენი კალენდარი დასჭირდება. ფასი კალენდრისა გამოცხადებული იქმნება დაბეჭვდის უმალ. საზოგადოებებს დაეთმობა კალენდრის ღირებულებიდან 10%.

ცნობები და ლექსები მოწოდებულ უნდა იქმნეს 20 მკათათვემდის შემდეგი მისამართით: თბილისი, ტამოჟნის ქუჩა № 4 მომხმარებელ საზოგადოება „ალორძინების“ სავაჭრო, ამხანაგობა „განახლების“ გადასაცემად.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალადა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოხნი“ ხიზილალა**, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, **გვაქვს** აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.